

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფრომაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზს წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის, აგრეთვე პროცენტზე, დივიდენდზე და როიალტზე გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის არსებული განაკვეთის შენარჩუნება.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის, აგრეთვე შემოსავლის ისეთ სახეებზე, როგორცაა პროცენტი, დივიდენდი და როიალტი საშემოსავლო გადასახადის დღეის მდგომარეობით არსებული განაკვეთის შენარჩუნება და საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება.

საშემოსავლო გადასახადის 20 პროცენტის განაკვეთის 2%-ით და შემდგომ 2014-წლიდან დამატებით 3%-ით შემცირება ძირითადად გავლენას ახდენს და აუმჯობესებს მაღალი შემოსავლების მქონე ფიზიკური პირების ფინანსურ მდგომარეობას და არსებით გავლენას ვერ იქონიებს პირებზე, რომლებსაც აქვთ შედარებით დაბალი შემოსავლები.

დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებით და მოსარგებლე პირთა კატეგორიის განსაზღვრით, შეღავათი გახდება სოციალურად მიზანმიმართული ამასთან აღნიშნული შეღავათით სარგებლობის საშუალება ექნება დაქირავებულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 2/3-ს .

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად ფიზიკურ პირს ექნება შესაძლებლობა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან ყოველწლიურად გამოქვითოს 1800 ლარი, თუ მისი წლიური ხელფასი არ აღემატება 6000 ლარს. დაუბეგრავი მინიმუმის გამოყენება მოხდება დაქირავებული ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო ორგანოში საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენის გზით გადასახადის გადაანგარიშებისა და უკან დაბრუნების მოთხოვნით.

დაქირავებული ფიზიკური პირი თვითონ დაიბრუნებს ბიუჯეტიდან დამქირავებლის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის ხელფასის გაცემისას დაკავებულ საშემოსავლო გადასახადს.

ამასთან, თუ ფიზიკური პირი დამატებით სარგებლობს საშემოსავლო გადასახადში დაწესებული შეღავათით, აღნიშნული შეღავათი არ შთანთქმავს დაუბეგრავი მინიმუმის გამოყენების უფლებას, და მისი გამოქვითვა მოხდება შეღავათის გამოყენების შემდგომ დარჩენილი შემოსავლიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელების მიზნით:

- კოდექსს ემატება 81<sup>1</sup> მუხლი, რომელიც განსაზღვრავს დაუბეგრავი მინიმუმის გამოყენების პრინციპებს.
- 153-ე მუხლს ემატება 4<sup>1</sup> ნაწილი სადაც მიეთითება, რომ ფიზიკურ პირს, შეუძლია წარადგინოს დეკლარაცია ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლების გამოყენების მიზნით.

ამასთან, კანონპროექტის შესაბამისად 2013 წლის პირველი იანვრიდან შემდგომ საგადასახადო პერიოდებში:

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არ შემცირდება და შენარჩუნდება დღეის მდგომარეობით არსებული 20%-იანი გადასახადის განაკვეთი;

გადახდის წყაროსთან დაბეგრის 5%-იანი გადასახადის განაკვეთი შენარჩუნდება დივიდენდის და პროცენტის სახით მიღებულ შემოსავლებზე, ხოლო როიალტის სახით მიღებული შემოსავალი გადახდის წყაროსთან დაიბეგრება 20%-იანი განაკვეთით.

სწორედ საშემოსავლო გადასახადში განაკვეთების შენარჩუნების მიზნით ცვლილებები შედის 81-ე, 130-ე, 131-ე და 132-ე მუხლებში, ხოლო 309-ე მუხლის გარდამავალი დებულებებიდან ხორციელდება პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების ამოღება.

უქმდება 309-ე მუხლის 43-ე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა 45 წლიდან 60 წლამდე ასაკის პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ახალ სამუშაო ადგილზე დაქირავებით მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადით დაბეგრისაგან გათასუფლდებას, იმ პირობით, რომ პირმა სამუშაო ადგილზე დაქირავებით მუშაობა დაიწყო 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივლისამდე და მუშაობის დაწყებამდე 3 თვის განმავლობაში უმუშევარი იყო.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს 2013 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

წარმოდგენილ ცვლილებები გამოიწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას 2014 წლიდან. კერძოდ, აღნიშნული ცვლილებების 2013 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედების შემთხვევაში, დაქირავებული პირი, დაუბეგრავი მინიმუმის გამოყენების და გადასახადის ბიუჯეტიდან დაბრუნების მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართავს 2014 წლის 1 აპრილიდან. აღნიშნული შედავით მოსარგებლე თითოეული პირისათვის ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი გადასახადის მაქსიმალური თანხა შეადგენს 360 ლარს, ხოლო დასაბრუნებელი გადასახადის საორიენტაციო საერთო ოდენობა იქნება 170 000 000 ლარის ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის შესაბამისად წესდება ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან ყოველწლიური დაუბეგრავი მინიმუმი 1800 ლარის ოდენობით. ასეთი ფიზიკური პირები ბიუჯეტიდან დაიბრუნებენ დამქირავებლის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის ხელფასზე დაკავებულ საშემოსავლო გადასახადს 360 ლარის ოდენობით.

2013 წლის პირველი იანვრიდან მოყოლებული შემდგომ საგადასახადო პერიოდებში:

- საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არ შემცირდება და შენარჩუნდება დღეის მდგომარეობით არსებული 20%-იანი გადასახადის განაკვეთი;
- გადახდის წყაროსთან დაბეგრვის 5%-იანი გადასახადის განაკვეთი შენარჩუნდება დივიდენდის და პროცენტის სახით მიღებულ შემოსავლებზე, ხოლო

როიალტის სახით მიღებული შემოსავალი გადახდის წყაროსთან დაიბეგრება 20%-იანი განაკვეთით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ

ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.